სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.



აუარებელი რიცხვი
## საკერავი მაშინე-ბისა
ყოველგვარი სისტემისა და ყოველგვარი ხარისხისა, როგორც საშინაო ოჯახში სახმარებლად, აგრეთვე სხვა-და-სხვა სახელოსნოებისათვის.
პირველ ხარისხოვანი და საგანგებო
## ველოსიპედები
(თვით-მავალნი)
ინგლისის, საფრანგეთის და გერმანეთის ქარხნებიდან
ყველაფერი იყიდება შეღავათიანის ფასით
✦ ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილად შეიძლება ✦
ყველაფერი, რაც-კი ამ სავაჭრო სახლიდან გაიყიდება, მკვიდრი და მაგარია, რაშიაც სრული თავდებობაა

ს. პ. პავლოვისა და ამხ.
ტფილისში
ლორის-მელიქოვის ქუჩა № 6.
ტელეფონი 349

**Торговый домъ**
С. П. Павлова и К-о
Тифлисъ, Лор.-Меликовская ул. № 6, противъ Правосл. Семин
Телефонъ 349

Богатѣйшій выборъ
**Швейныхъ машинъ**
и
**ВЕЛОСИПЕДОВЪ**



(100—40)

---



ეს არის ეხლა მიღებულია საზღვარ-გარეთიდან და იყიდება
მწვანე და მოლაპარაკე **თუთიყუშები**
და სხვა მრავალი საზღვარ-გარეთელი მშვენიერი
**ფრინველები**
აქვე ყიდულობენ კავკასიის ცოცხალ პირუტყვებს: ირმებს, ჯეირნებს, შურთხებს, გარეულ ყოჩებს და სხვა-და-სხვა ფრინველებს.
ტფილისი, მიხეილის ქ. № 106, ბარამოვის სახ. ეზოში **ჰუგო ვინკლერს**.
Продажа говорящихъ **ПОПУГАЕВЪ** и иностран. птицъ.
Покупка Кавказскихъ дикихъ животн. и птицъ
Михайловская ул. № 106, д. Барамова (во дворѣ) **ГУГО ВИНКЛЕРУ**.
(12—11)

---

გამოვიდა და იყიდება ახალი წიგნი
## სადღეგრძელოები
ამხანაგობის „გლეხის" გამოცემა
ფასი 5 კაპ.
მსურველნი მიჰმართავენ ზესტაფონში მ. გაჩეჩილაძეს. (10—7)

---

გაზეთი „**ცნობის ფურცელი**" ღირს
წლის დამლევამდე **3** მ. **50** კ.

---

ახლად გამართული რესტორანი
## „იუჟნი ნომერა"
ტფილისი, ბარონის ქუჩაზე
ყოველთვის იშოვება მშვენივრად და გემოიანად გაკეთებული
სადილ-ვახშამი და საუზმე
——— ხორაგი ყოველთვის ახალი და სუფთაა ———
რესტორანთან არის მრავალი კაბინეტები და ოთახები
იქვე მშვენიერს ბაღში აუზია ცოცხალის თევზებით
**ფასი ყველაფრისა იაფია**
(30—5) პატივისცემით ილია აბრამიშვილი

Ресторанъ «Южные номера» ✦ обѣды и ужины ✦
Ресторанъ «Южные номера» обѣды и ужины, дешевизна

---

## ამზადებს
საქალებო სკოლების უმცროსი კლასებისათვის, სხვა-და-სხვა საქალაქო სასწავლებლებისათვის, სასულიერო სასწავლებლის ყველა განყოფილებისთვის და ყველა კლასებისთვის, სასულიერო სემინარიის პირველ კლასისთვის; აგრეთვე ვისაც თავის ნებით ჰსურს ჯარში ჩაერიცხოს და მერე იუნკრის სასწავლებელში გადვიდეს (вольноопредѣляющіисія). ფასი ყველას მაშინ გამოერთმევათ, როცა კარგა დაიჭერენ ეგზამენს და მიღებულ იქმნებიან სასწავლებელში. თანახმაა ქალაქ გარეთაც წაჰყვეს მსურველთ: სოფლად და აგარაკად. წერილის ადრესი: г. Тифлисъ, Вознесенская ул. д. № 51, С. А. Картвелову. აგრეთვე მსურველთ შეუძლიანთ მნახონ სასულიერო სემინარიაში 9—1 საათამდის. (10—8)

---

სამკურნალო და ამბულატორია
## ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია**. საქირურგიო ავამყოფობას და სიფილისს **ფ. ქ. გერრატი**. დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი**.

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ф. ბაცევიჩი**.
თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი**.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია**.
*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

---

## კანონი და მთავრობის განკარგულებანი.

—

ებოძათ კაპიტნობა — გრენადერთა გრუზინსკის მე-14 რაზმის შტაბს კაპიტანს თავად მაჩაბელს; შტაბს-კაპიტნობა: იმავე რაზმის პორუჩიკს გამყრელიძეს, ტფილისის მე 15 რაზმის პორუჩიკებს თავ. თარხან-მოურავს და თავ. ვაჩნაძეს. პორუჩიკობა—მინგრელიის მე-17 რაზმის პოდპორუჩიკებს ჩხეიძეს, ივანე საგინაშვილს და დიმიტრი საგინაშვილს; შტაბს კაპიტნობა: ყაბარდინის მე-80 რაზმის პორუჩიკს ხმალაძეს, ბაქოს მე 154 რაზმის პორუჩიკებს თავ. დ. ანდრონიკაშვილს და ჯაფარიძეს; პორუჩიკობა კავკასიის მე-2 მსროლელთა დრუჟინის პოდპორუჩიკს თავ. თუმანიშვილს; კაპიტნობა იმავე დრუჟინის შტაბს კაპიტანს ანთაძეს; პორუჩიკობა იმავ დრუჟინის პოდპორუჩიკს ხუციშვილს; შტაბს-კაპიტნობა ფოთის ზურგის რაზმის პორუჩიკს ქორქაშვილს; პორუჩიკობა — გორის ზურგის ჯარის პოდპორუჩიკს ქართველიშვილს; კაპიტნობა—გრო-

ზნის რაზმის შტაბს კაპიტანს წიკლაურს; პორუჩიკობა: ასლანდუზის რაზმის პოდპორუჩიკს კახიანს და მიხეილის ციხის ქვეითა ბატალიონის პოდპორუჩიკს ელიოზიშვილს.

დანიშნულ იქმნა აბასთუმნის სამხედრო საავადმყოფოს მთავარი მკურნალი, სტატსკი სოვეტნიკი კოპაძე— აბასთუმანის სამადნო წყლების დირექტორად, ისე კი, რომ წინანდელ თანამდებობაშიაც დარჩეს.

# ახალი ამბავი

*** საეკკლესიო მუზეუმი. მისს მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესის საქართველოს ექსარხოსის ფლაბიანეს განკარგულებით, სიონის საეკკლესიო მუზეუმის კომიტეტის თავმჯდომარედ დამტკიცებულ იქმნა ყოვლად-უსამღვდელოესი ეპისკოპოსი ლეონიდე და მუზეუმის გამგედ მ. ჯანაშვილი.

*** სამსახურის თავის დანებება. ტფილისის ობოლთა სასამართლოს თავმჯდომარემ დ. ზ. ყორღანოვმა თავი დაანება სამსახურს. მის კანდიდატად ასახელებენ ბაშკიჩეთის მომრიგებელ-სასამართლოს მმართველს მ. ა. სულიევს. იმედი აქვთ, რომ მისი არჩევა ამ თანამდებობაზე უკეთესს წეს-რიგს დაამყარებს ობოლთა სასამართლოში.

*** ტფილისის ქალაქის მოურავი ვ. ვ. ევანგულოვი 12 ივლისს გაემგზავრება საავარაკოდ ესენტუკში.

*** სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უწეს-რიგობა. გამოძიებამ, რომელიც მოახდინა ქალაქის მოურავმა სავაჭრო-სამრეწველო კომისიის უწეს-რიგობის შესახებ, გამოარკვია, რომ ზოგიერთი აგენტები მთელი თვეობით არ ადგენენ გამგეობაში თავიანთ შეკრებილს გადასახადს. გარდა ამისა, გადაყენებულ იქმნა სამსახურიდან ვერის განყოფილების ბაზრის ზედამხედველი და მისი მოქმედების შესახებ გამოძიება სწარმოებს.

*** ზარალი სეტყვისაგან. დუშეთის მაზრაში სეტყვას დაუზიანებია და გაუოხრებია ხეხილი, ვენახები, ყანები, სათიბები და ბოსტნები. ზარალი 79,500 მან. უდრის.

*** თავ.. ივანე ჭავჭავაძე, წევრი ტფილისის საგლეხო საქმეთა საგუბერნიო რჩევისა, მძიმე ავად გახდა.

*** მიღება უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლებში. სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, მიღება უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლებში მოხდება ახალი, შესამჩნევად გაადვილებული პროგრამებით. ეს პროგრამები უკვე შეუმუშავებია სახალხო განათლების სამინისტროს, მაგრამ რადგან მათ შესახებ ჯერ შეთანხმება არ მომხდარა სხვა უწყებებთან, ამიტომ მათ ჯერ დროებითი ხასიათი აქვთ. უმთავრესად ახალ პროგრამებში მიქცეული აქვს ყურადღება გამოცდის გაადვილებას არითმეტიკაში.

*** მოწაფის დახრჩობა მტკვარში. 8 ივლისს მცხეთის ბოქაულმა აცნობა ტფილისის პოლიცმეისტერს დეპეშით, რომ ტფილისის მე 2 სავაჟო გიმნაზიის მე-VIII კლასის მოწაფე გრიგოლ ორჯონიკიძე ბანაობის დროს მტკვარში დაიხრჩოვო. გვამი ჯერ არ უნახავთ.

*** წერილების მისაღებ-გასაცემი ადგილი სიღნაღის მაზრაში. სიღნაღის სამაზრო ადმინისტრაციამ, როგორც ისმის, შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ სადგ. კაჭრეთი დადგენილ იქმნას ფულიან, შეკვეთილ და სახელმწიფო წერილების მისაღებ-გასაცემ ადგილად სიღნაღის მაზრაში.

*** ბრძოლა სიფილისთან. ქალაქის გამგეობამ დაადგინა სიფილისით ავადმყოფ მამაკაცთა თავშესაფარში, სადაც ამ ჟამად 10 კაცი წევს, დაიდგას ოცი ტახტი. გარდა ამისა დადგენილია შემუშავებულ იქმნეს სავალდებულო დადგენილებათა პროექტი, რომლის ძალით ქარხნებმა, ზავოდებმა და დიდ სავაჭრო-სამრეწველო და სახელოსნო დაწესებულებათ, სადაც მუშაობს არა ნაკლებ 100 მუშისა, უნდა იყოლიონ საკუთარი ექიმი მუშების გასასინჯავად.

*** ქალაქის შემოსავალი ქ. ბათომში. საავადმყოფოთა გადასახადისა და საქონლის დაკვლაზე ნიხრის მომატების გამო ბათომში ქალაქის შემოსავალი, როგორც ისმის 20 ათას მანეთამდე აიწევა.

*** სასოფლო სამკურნალოები. ოზურგეთის მაზრაში განზრახვა აქვთ დაარსონ ორი სასოფლო სამკურნალო, ერთი 8 ტახტით, მეორე თორმეტით.

*** საქარის სანერგის მოქმედება. საქარის სანერგეს დაუარსებია ორი ახალი საცდელი ადგილი: ერთი სოფ. ბახვში, ოზურგეთის მაზრა, ორ კლასიან სკოლასთან, და მეორე—სოფ. ქალაში, შორაპ. მაზ. მუშა-პრაქტიკანტებისათვის გაუცვნია ვაზის უმთავრეს ავადმყოფობათა გამოცნობისა და წამლების წესები. გარდა ამისა, პრაქტიკანტებისათვის გაუცვნია აგრეთვე აბრეშუმის ჭიის კვება. ვაზის წამლობა ძალიან ენერგიულად წარმოებს, რადგან მცხოვრებთ ეშინიანთ, კარგი მოსავალი არ დაჰკარგონ და შეგნებული აქვთ წამლობის სარგებლობა. სხვათა შორის, ბაჟისაგან ვაზის საწამლის მასალის განთავისუფლებას ვერ დაუმცირებია ფასები ისე, როგორც მოსალოდნელი იყო. შაბიამანისა და სხვა მასალის უბაჟოდ მიღებას თან სდევს იმდენი დავიდარაბა ბათომის დამოჟნებში, რომ მათ გამოწერას ახერხებენ მხოლოდ მსხვილი ვაჭრები, რომლებსაც ამ სახით მთლად თავიანთ ხელში ჩაუგდიათ ეს საქმე. ამ გარემოების ცუდი შედეგის ასაშორებლად ინსტრუქტორს ბ. ჟანს დაუარსებია ქ. ონში საწამლი მასალის საწყობი სამი განყოფილებით ლეჩხუმის მაზრაში, იმ მიზნით, რომ ვაჭრები იძულებული გაეხადნა ფასები დაეკლოთ. ამ ჟამად ქუთაისის გუბერნიაში სანერგე იკვლევს ნიადაგს იმის გამოსარკვევად, თუ სად რა სამეურნეო დარგი იხეირებს.

*** ყასბების თავგასულობა. 6 ივლისს ერთი ახალგაზდა, 18 წლის იმერელი თავისთვის იჯდა ჩაფიქრებული. მას მიუახლოვდა ორი ყასაბი, ლოყებზე ხელი აუსვ-დაუსვეს და კოცნა დაუპირეს. ყმაწვილს შეეშინდა და ხანჯალზე ხელი გაიკრა, მაგრამ წაართვეს ხანჯალი და თქვენს მტერს, რა დღეც მას დააყენეს: მიესივნენ საბრალოს დიდი და პატარა, ყველა ყასბები, და დაუწყეს საშინელი ცემა-ტყეპა. ერთმა პალტოიანმა ვაჟბატონმა ქოლგის მოკაუჭებული ტარი ჩაჰკრა თავში, გაუხეთქა თავის კანი და სისხლი დაადინა. ბოლოს ცოცხალ-მკვდარი ბიჭი პოლიციაში წაათრიეს. ასეთი თავგასულობა და უმგზავსოება პირველი მაგალითი არ არის ტფილისელ ყასბებში, რომლებსაც კარგა ხანია ალაგმვა სჭირიათ, და ამიტომ ურიგო არ იქნება ახლა მაინც მიაქცევდეს მათ ჯეროვან ყურადღებას, ვისიც ჯერ არს.

სოგრატ ხესკივაძე

*** **ქუთაისი.** ქალაქის არჩევანების აყალ-მაყალი. როგორც შეტყობილი გაქვთ გუბერნატორმა დაამტკიცა არჩევანები. მხოლოდ ბ. ლოლუას წარდგინებით ორი ხმოსნის ბ. ვ. ქორქაშვილის დ. ნ. ჩიკვაიძის მაგიერ ახალს „დუმაში“ შევიდნენ ბბ. კ. მაჭავარიანი და კ. გუგუშვილი.

ოპპოზიციამ, როგორც ამბობენ, ამ ხმოსნების გამორიცხვით ერთი ხმა წააგო და ბ. ლოლუას კი ორი ხმა შეემატა, თუ ბბ. მაჭავარიანმა და გუგუშვილმა ორივემ თეთრი მისცეს.

ამ ამბავმა ცოტა არ იყოს აგვალაპარაკა და დ. ჩიკვაიძე კი სულ აავყვირა: „მე იმას და... „დამაცადოს და...“ „ეს ულვაში მომპარსოს და... სულ ამას ქაქანებს!..

ბ. დ. ჩიკვაიძის გამორიცხვა რომ მოიწადინა ბ. ლოლუამ, აქ რაღაც ჩვენთვის გაუგებარია... ნუ თუ შეირყა და გაიხრწნა „მათ მიერ თანა“ შეურყეველი და გაუხრწნელი გუნდი? ნუ თუ გაითხრიშა და გაწყდა კუდი გადაბმული და ბ. ჩიკვაიძე უპირებდა ლალატს ბ. ლოლუას?

ჩვენ კი ჩვენ და თავათ ვსტირით და ვგოდებთ, რომ ქუთაისმა დაკარგა ამისთანა გამჭრიახე გამოცდილი, ენა-მჭევრი, აღსავსე ჭკუ[illegible]ლითა „ტალანტებითა“ ხმოსანი როგორიც იყო ბ. დ. ნ. ჩიკვა[illegible]ძე... საუკუნოთ განუსვენოს უფალმა მის ხმოსნობას!!

ორშაბათს 6 ივლისს ახალ ხმოსნების პირველი სხდომა გ[illegible]მართა. თავმჯდომარეთ საბჭოს როდესაც ქალაქის თავს კანონი არ შეეძლება თავმჯდომარობა ამოირჩიეს პატივცემული დავი[illegible] ნიკოლოზის ძე ბაქრაძე. ქალაქის თავის არჩევანი დანიშნულია 12 ამ თვისათვის და აბა ციებ-ცხელება იმ დღეს იქნება!!

ყველაზე ასაყაყანებელი ამბავი ორშაბათის სხდომაზე მაინც ყველას „ამყაყანებელმა“ ხმოსა[illegible] დ. ა. ნაზაროვმა მოახდინა: ეს ქ[illegible]თაისის ქორესი, ჯორივით კვი[illegible]ტია, თუ შორს არ გაუდექი ის „კვინტებს“ მოგაყრის, რომ „[illegible]ლი ფეხის“ მაგიერ ორივ ფეხებს გაქანებიებს!!

წამოდგა დაღვრემილის სახით, გაისწორა სათვალეები და შემპარავის ხმით, ვითომ მაინც და მაინც აქ არაფერიაო, საციმბირო საქმეზე კი მიგვითითა ტკბილის, ნარნარის ენით!

— ბატონებო, ჩვენს დალოცვილ და კურთხეულ—ქუთაისში თავის დღეში არ გაუგონია ვისმეს, რომ „პადლოდი“ ჩაედინოს ვინმეს და ახლა კი დაგვეცა მეხი, გაგვიწყრა ღმერთი და ყველა ამას ყვირის, რომ აქ, ქალაქის კანცელარიაში სეკრეტარს, ჩვენგან არჩეულს რაღაც „პადლოდი“ გაუკეთებია! არ მჯერა, ჩემო საყვარელო ბატონო, ქალაქის თავო, ჩემო გულითადო ამხანაგო სამსონ, რომ ეს ხმა მართალი იყოს. მაინც თუ თქვენც ინებებთ, გაგვაგებინეთ რა საქმეა ეს საქმე, რისთვის დავეცით ასე, რომ ამისთანა ხმებს ავრცელებენ..? და სხვ. და სხვ.

ბ. ლოლუა ცდილობდა ენა-პირა წყლიანი ორატორის სიტყვის მოწყვეტას, მაგრამ სათქმელი რაც იყო ითქვა. და ამ თქმამ შუშხუნ-

რა ეტასავით იმოქმედა ხმოსნებზე!

— ოოო!! უუუ! ფფუუ! გაისმოდა ფრუტუნ-ზუზუნი ხმოსნებში...

ბ. ლოლუამ თითქოს ძალ-დატანებით უპასუხა მოკლეთ, რომ ეს ხმები სეკრეტარს არავითარ ჩირქს არა სცხებს, არამედ მეო, ჩემზე არის ეგ თქმულებაო, მაგრამ ამ საგანს დღეს ვერ აგიხსნით და მალე კი ყველაფერს მოგახსენებთ ამ „პადლოღის“ შესახებო.

დაჩუმდა ყველა და ჩვენც დავჩუმდებით, სანამ ბ. ლოლუა ამ საგანს ახსნის!..

გ. ვერმიცანაძე

*** **დ. ბაღდათი** (იმერეთი). ყაჩაღობის მაგალითი. როდის იქნება მოისვენოს ბაღდათის საზოგადოებამ ბოროტ-მომქმედ პირთა თარეშობისაგან, ქურდ-ბაცაცების თავ-ხედურ ნავარდობისაგან! დაგვინიშნეს ბოქაულად თ. ფაღავა, რომელმაც თვისის მხნე და დაუღალავის მეცადინეობით აგერ წელიწადი იქნება გააჩუმა, ლაგამი ამოსდვა მაწანწალა ვაჟბატონებს. მაგრამ, ჩვეულება რჯულთ უმტკიცესიაო“, ხომ გაგიგონიათ. ვეღარ მოითმინეს ავაზაკობასთან შეზრდილმა, ქურდობაში გაწვრთნილმა და დახელოვნებულმა პირებმა და ძველებურ ჩანგს მოჰკიდეს ხელი. წარსულ ივნისის 18-ს, შუაღამისას, ადგილობრივ მომრიგებელი სასამართლოს თავს დაეცა ვაჟბატონთა გუნდი, გამოიტანა კასა, სიმძიმით 9 ფუთი, გატეხა და გემრიელად გაინაწილეს 29 თუმანი, რომლის მეტი, იმათ-და საუბედუროდ, არ აღმოჩნდა კასაში. დილას სასამართლოს დარაჯმა შეატყობინა ბოქაულს უეცარი ყაჩაღობის შემთხვევის ამბავი. ბოქაულმა დააპატიმრა დარაჯი, რომელიც როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, პირველი მონაწილე ყოფილა ქურდობაში... დარაჯის ჩვენებითვე, დააპატიმრეს ადგილობრივი მეურმე კოხოძე. გამოძიება ჯერ კიდევ არ გათავებულა.

ვ. ობჩელი

*** **ქუთაისი.** წყლის მილის საქმე. ქუთაისის მცხოვრებნი შეწუხებულნი არიან წყლის უვარგისობით, რადგან ქალაქს არ აქვს წყლის მილები და მცხოვრებნი ხშირად იძულებულნი არიან სვან რიონის მღვრიე და ტალახიანი წყალი, რომელსაც კიდევ უფრო აფუჭებს უწმინდური ბოჭკები წყლის მზიდველებისა. ამ საგნის შესახებ მცხოვრებთ მრავალჯერ განუცხადებიათ საჩივარი და ქალაქის გამგეობასაც ბევრჯელ აღუძრავს კითხვა წყლის მილების მოწყობაზე, მაგრამ საქმით ჯერ არა გაუკეთებიარა. ამ დღეებში, გამგეობის თხოვნით, აქ მოვიდა ტფილისიდან ინჟინერ-გიდრავლიკი, გამოიკვლია ქალაქის მახლობლად მყოფი წყაროები და გამოიანგარიშა, რომ ქალაქში წყლის გაყვანა დაჯდება არა ნაკლებ 300 ათასი მანეთისაო; ქალაქს კი ამ საგნისათვის აქვს მხოლოდ 80 ათასი მან. ამ სახით, ქუთათურებმა დაჰკარგეს უკანასკნელი იმედი კარგი და სალი წყლის შოვნაზე.

## სიტყვა

თქმული მ. ნასიძის მიერ კნ. თებრონია ანდრონიკაშვილის დასაფლავებაზე.

„მშვიდობით, განსულო ამა სოფლითგან, კნეინა თებრო! კეთილშობილმან სულმან შენმან ინება განშორება ამა სოფლისა. მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ სული მსწრაფლ არ სტოვებს სხეულს. ვითარცა ნელ-ნელა ცივდება სხეული, ისე ნელ-ნელა სტოვებს სულიც აქაურს საწუთროს, ამიტომ ჩვენ გვჯერა, რომ სპეტაკი სული შენი ჯერ აქავ არის, ჰხედავს ყოველივეს, რაც გარშემო ხდება და სტკბება ერთგვარის ხილვით. და აჰა, ერთი უმთავრესი ჯილდოც სულისა ამა სოფლად. სპეტაკი სული შენი, რომელიც, ვითარცა „სული წმიდა“, დასტრიალებს შენს კუბოს, ამ სამგლოვიარო სურათს საერთოდ, ესოდენს რიცხვს გულწრფელ მგლოვიარეთა, რწმუნდება, რომ კეთილთა საქმეთ ამა სოფლად მუქთად არ ჩაუვლიათ, თესლმა კეთილმა მოიმკოს ნაყოფიც კეთილი. იყავ კეთილი დედა და აგერ გულებ-დაწყვეტილნი, დაობლებულნი შვილნი შენნი თავს გაკლავენ ზედ, იყავ სათნო და სამაგალითო მეუღლე და აგერ დიდის მწუხარებისაგან ქვასავით უტყვი სახე შენის მხცოვანის მეუღლისა აღნიშნავს ესოდენს მწუხარებას, რაოდენიც-კი ძალ უძს ადამის შვილსა. იყავ კეთილი და სათნო ყველასთან და ყოველთვის და აჰა ეს აუარებელი ხალხი, განურჩევლად წოდებისა, ასაკისა, სქესისა და ეროვნებისა, მოსულა, უკანასკნელი სალამი მისცეს კეთილს და მოწყალეს „კეთილს თებროს“, — როგორც მარტივად გეძახოდა შენ ყველა. განუსაზღვრელმა კაცთმოყვარე გულმან შენმან ბევრი სათნო მაგალითი დაგვიტოვა ადამიანობისა და კაცური კაცობისა. მაგრამ იყო ერთი ისეთი მხარეც შენს ცხოვრებაში, რომელიც შენ და შენს გარდაცვალებას განსაკუთრებულს და სულ სხვა მნიშვნელობას აძლევს. სწორედ ეს მხარეც მაიძულებს მე ამ ორიოდე სიტყვის თქმას შენს გამოსათხოვებლად. საქმე ის არის, ბატონებო, რომ კნეინა თებრონიას გარდაცვალებით ჩვენ კვლავ მოგვაკლდა ერთი ნამდვილი „ქართველი დედა“, კვლავ გადაბრუნდა და წაიქცა ერთი იმ დიდებულ ბოძთაგანი, რომელთაც ორი ათასი წლის განმავლობაში ეკავათ საქართველოს ისტორიული შენობა. „ქართველი დედა!..“ ეს ორი პატარა სიტყვა ბევრს რასმეს ეუბნება განათლებულს გონებას აწინდელის ქართველისას. თქვენნი თვისებანი იყვნენ: ცოტა სიტყვა, ბევრი საქმე. ჩვენმა ახალმა ქალებმა ეს თქვენი წმინდა ანდერძი უკუღმართად შესცვალეს. მეორე თქვენი მთავარი თვისება გულ-წრფელი სიყვარული, სიყვარული გულით, მთელის არსებით და არა სიტყვით; მაგარი და მოუდრეკელი ხასიათი ჭირსა თუ ლხინში... ამ თვისებათ, სამწუხაროდ, იკლეს ჩვენში. ძველი საქართველო ამ საუკუნის დასაწყისში მოისპოვო. ეს შემცდარი აზრია. ერი უცებ და ერთის ხაზის გასმით არც შეიქმნების და არც დასრულდების. ქაღალდზე, რასაკვირველია, მოისპო ძველი საქართველო 1800 წელში, ხოლო ცხოვრებაში დღემდის იგი ცხოვრებდა, ცოცხალი იყო და აჰა ერთი წარჩინებული წევრი იმ საქართველოსი აწ ჩვენს წინ ასვენია. აი კიდევ რატომ არის მწვავე და მწარე შენი გარდაცვალება, კნეინა თებრო, თქვენი რიცხვი მცირდება და თქვენთან ერთად ვეთხოვებით საუკეთესო ანდერძს ჩვენთა მამა-პაპათა. აი აქ არის საზოგადო და საქვეყნო ხასიათი თქვენის გარდაცვალებისა. ამ მხრივ თუ შევხედავთ საგანს, ბატონებო, დღეს კნეინა თებროს გლოვობს არა თუ ვიწრო წრე ნათესაობისა და ნაცნობებისა, არამედ მთელი გუნდი განათლებულთა ქართველთა, რომელთათვისაც ჩვენი წარსული ტაძარია...

დღევანდელს ამბავს, დღევანდელს პატივისცემას შენის გვამისადმი, კნეინა თებრო, ის გაკვეთილი, ის სწავლა მოჰყვება ახალგაზდა ქართველ ქალებისათვის, რომ ყველა გაიგებს, თუ რა გზით მოიხვეჭს კაცი სახელს და პატივისცემას თანამედროვეთა შორის. ეს არის გზა ხასიათის სიმტკიცისა, სულის კეთილ-შობილობისა და რაც ყველაზე უფრო დიდია: გულში ტარება ეროვნულის იდეის დაუშრეტელის ცეცხლისა.

ასე რომ, თუ სიცოცხლით ბძანდებოდით სამაგალითო ადამიანი, სიკვდილი თქვენიცა საგულისხმო და სამაგალითო გახდა. თქვენ წარსდგებით, კნეინა თებრო, ჩვენთა წინაპართა წინაშე, თქვენ იხილავთ მალე დიდებულ ქართველთა დედებს: თამარს, ქეთევანს... უთხარით, რომ თუმცა ჩვენ დავძაბუნდით, გარნა მადლი იმედისა არ გამქრალა ჩვენში და ეს არის საბუთი, რომ უკეთუ ვეცადეთ, კიდეც შევიქნებით მათი ღირსი...

კვლავ მშვიდობით, პატიოსანო და სათნო ქართველო დედავ, კნეინა თებრო!“

## საპედაგოგიო კურსები ტფილისში

8 ივლისს სამღვთო სჯულში გაკვეთილი მისცა გორის სობოროს მთავარმა ხიზანაშვილმა. სამივე განყოფილებაში გაკვეთილმა სამაგალითოთ ჩაიარა. სამაგალითოთ წაიყვანა ბაასი ლოცვების წინ. ეტყობოდა მ. მთავარს კარგად შეუთვისებია ბ-ნ ტატიშვილის ლექციები, რომელშიაც ერთ საუკეთესო საშუალებათ ლოცვების შესასწავლად ბ-ნმა ლექტორმა ბაასი დაასახელა. პატივცემულ მთავარმა ამ საშუალებას მიჰმართა და ისეთი ხელოვნურად წაიყვანა ბაასი, რომ ბაასიდგან გაუჭირვებლად გამოდიოდა ლოცვა: „ყოვლად წმიდაო სამებაო“. ბავშვებს რიგზე უყენებდა კითხვებს და იგინიც გაუჭირვებლად უგებდნენ, არამც თუ წასულ გაკვეთილს, ახალსაც-კი. პატივცემულ მთავარს კარგად ჰქონდა შეგნებული, თუ რას უნდა მიექცეს გაკვეთილში ყურადღება და ბევრისამებრ მარტივ სიტყვების ახსნას კი არ მიაქცია ყურადღება, არამედ დოღმატიურ აზრსაც. მოთხოვნისამებრ გაკვეთილი ბიბლიური ენით იყო ნაამბობი. ბავშვებს ღმობიერად ეპყრობოდა. თვალ საჩინო ნაკლულევანება იყო ის, რომ ერთად გამეორება კარგად ვერ აწარმოვა. მთელი ისტორიის ერთად გამეორება ძნელიც არის და არც საჭიროა. გაკვეთილი გარჩეული იქმნა და მოწონებული. მეორე გაკვეთილი ქ-ნმა სვიმონიშვილისამ მისცა არიფმეტიკაში. გაკვეთილს ძალიან მცირე შენიშვნები უჩვენეს. მოწონებულ იქმნა თვით მეთოდი სწავლებისა და აგრეთვე გაკვეთილი.

მ. ლიხელი

## ყურმოკრული საუბარი

სასიამოვნო ვირი. ღედ-მამა თავის ქალზე ლაპარაკობენ: — რა გვაბადია იმ ერთი ვირის მეტი, ის გავუდოთ და მაგითი მზითევი ვუყიდოთ რამეო; მერე სხვა საგანზე დაიწყეს ლაპარაკი ქალმა უთხრა:

— მაგ ლაპარაკს თავი დაანებეთ და ისევ იმ ვირისა ილაპარაკეთო.

მოსწრებული პასუხი. ნუ ასმევთ მაგ კაცს მაგდენ ღვინოს, რადასაც მოკუზულა წელში ქართული გუთანივით.

— ქართული გუთანი ბევრს ხნავს, მოიტათ კიდევ დავლიოთ!..

# სამეცნიერო ცნობა

—

ცხოველების დღეგრძელობა. ცხოველების დღეგრძელობის გამოსანგარიშებლად ეხლანდელ დროში არა ნიმუშები არა გვაქვს, მხოლოდ ის კი შემჩნეულია, რო ცხოველი რაც დიდია, მით უფრო დიდხანსა სცოცხლობს. მაგალითად სპილო სცოცხლობს 200 წლამდე, რის გამო უწინდელ დროში რომაელები სპილოს დღეგრძელობის სიმბოლოდ სთვლიდნენ. დღეგრძელობის მხრითვე უფრო.

შესანიშნავია ზღვის ვეშაპი რომელიც, კიუვიეს აზრით, ხანდიხან 1000 წლამდე ხცოცხლობს აგრეთვე აქლემი, მარტორქა და ჯორი 100 წლამდე სცოცხლობენ, ცხენი-40 წლამდე, ხარი—20 წლამდე, ძაღლი—15, კატა—8 და სხვა,

ფრინველთა შორის დღეგრძელობაში პირველი ადგილი ყორანს უჭირავს, რომელიც 100 წლამდე სცოცხლობს. აგრეთვე არწივი, ქორი, თუთიყუში, ბატი და წერო დიდხანს სცოცხლობენ. გუმბოლდი მოგვითხრობს ერთი ძლიერ ხანში შესულ თუთიყუშზე, რომელიც ამერიკაში ცხოვრობდა. ამ თუთიყუშზე ხალხში დევენდა დარჩომილა, რომელიც გარდმოგვცემს, რო თუთიყუში იმ ენაზე ლაპარაკობდა, რომლის ხალხი დედამიწაზე სრულებით გაქრა და იმიტომ მისი ლაპარაკი არავის არ ესმოდა გეურებოდათ.

ქვეწარმავალნი: კუ, გველი და ზოგიერთი მსხვილი თევზები ხან გრძლივი სიცოცხლითა ტკბებიან.

პრუსსიაში რაუსპის ახლო, ერთმა შემთხვევამ აღვილად გამოიკვლია ბებერი მგელის წლოვანობა, რომელიც მოჰკლა იქაურმა მეტყევემ. ამ მგელს ყელზე შემოხვეული ჰქონდა ვიწრო საყელო, რომელზედაც შემდეგი ეწერა: „კენისგრეცი, 3 მკათათვეს, 1866 წელს“ შემთხვევით დამწერიც ზემო აღნიშნულ დროს პრუსსიელების არმიაში იმყოფებოდა. ჯარის კაცს მგელი ომის წინედ დაეჭირა და მისი გაშინაურება ჰსურდა, მაგრამ პრუსსიის და ავსტრიის შუა ომის გათავების შემდეგ, მგელი ზემო აღნიშნულ ნაწერით გაუშო. მაშასადამე ეს შემთხვევა ცხადად გვიჩვენებს, რო მგელი ოცდა-ათს და მეტსაც სცხოვრობს.

პავლე მოსულიშვილი

—◆◆—

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან),
8 ივლისი.

**იოკაჰამა.** სეულიდგან ცნობა მოვიდა, რომ ამერიკის მინისტრების, დენტისა და სამინისტროს შორის მოლაპარაკების თანახმად უნდა დანიშნულ იქმნენ ამერიკის მოხელეები კორეიაში, რომელნიც შეუდგებიან ხიდისა და სხვა შენობათა აგებას.

**პარიზი.** ვერსალში საქმის გარჩევის შემდეგ სენ-კლუბში დერულდსა და გიუბარის შორის დუელი მოხდა ხმლებით. რადგანაც გიუბარმა მარცხენა ხელი სტაცა დერულდის ხმალს, ამიტომ სეკუნდანტებმა შეაჩერეს მოწინააღმდეგენი და დაადგინეს: ოქმი შეადგინონ იმის შესახებ, რომ გიუბარს ნება აღარ აქვს დუელში გავიდეს.

**პარიზი.** ხმა დადის, რომ ზოლა დილის 6 საათზედ გაჰქრა სახლიდან და აღარ დაბრუნებულა. ზოგი ჰფიქრობს, რომ ზოლა ჟენევაში გაიქცაო; ზოგი ამბობს, რომ ბრიუსელში წავიდაო, ზოგი კიდევ გაიძახის, რომ საფრანგეთიდან არ გასულა, მაგრამ თავს იმალავს, რომ საპატიმროში არ ჩასვან ოქტომბრამდე, როდესაც საქმე ხელ ახლა გაირჩევა.


# განცხადებანი

ცნობილი ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ლეფიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხვ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

—

ახალი პრეისკურანტები
მუქთად იგზავნება.

—

კავკასიის ცენტრალი საწყობი
სამუსიკო იარაღებისა
ბ. მ. მირიმანიანისა
Музыкальное депо
Б. М. Мириманіана
Тифлисъ, Дворцов. ул.
(54—36)

# ურბენი L'urbain

საზოგადოება, რომელიც აზღვევს თანხებს, მზითვებს, შემოსავლებს და სხვა. შეღავათიანის პირობებით ავადმყოფობისა თუ შეუძლებლობის დროსათვის.

დაზღვეულთ მონაწილეობა ეძლევათ მოგებაში დაზღვევის პირველ წლიდანვე.

კონტორა ამიერ-კავკასიისა, ამიერ-კასპიისა, თურქესტანისა და ბუხარის მხრისათვის იმყოფება **ტფილისში**, მიხეილის ქ. № 9, პოპოვის სახლი. ტელეფონი № 543.

მთავარი რწმუნებული ბაგრატ გერასიმეს ძე ტერ-მათევოზოვი
ინსპექტორი ნიკოლოზ გერასიმეს ძე ტერ-მათევოზოვი.

ცნობანი და ბარათები ყველას მიეცემა აგენტებისაგან მთელს რუსეთის იმპერიის ქალაქებში.

Контора страховаго общ. „**УРБЭНЪ**“
Тифлисъ, Михайловская № 9, д. Попова. Телефонъ № 543.
(50—14)

# საზღვევი საზოგადოება „იაკორი“

**უმაღლესად** დამტკიცებული 1872 წელს მოსკოვში

ტფილისის უმთავრესი სააგენტო
დებულობს

**დაზღვევას ცეხლისაგან**

ყოველ-გვარ უძრავ და მოძრავ ქონებისას.

**დაზღვევას სიცოცხლისა და თანხებისა**

შეღავათიანის პირობებით, მაგალითად შეღავათი იმ შემთხვევაში, როცა დაზღვეულს შრომა არ შეუძლიან და აგრეთვე დაზღვეულს სარგებლობა ეძლევა საზოგადოების მოგებიდან

**დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან**

მიიღებიან საერთოდ დაზღვევა მუშებისა, ქარხნებსა და სახელოსნოებში, აგრეთვე დაზღვევა კერძო პირებისას

**დაზღვევა გაგზავნილ საქონლებისა**

ზღვაზედ, მდინარეებზედ თუ ხმელეთზედ, აგრეთვე დაზღვევა გემებისა

თხოვნებით და ყოველ-გვარ ცნობათა შეხატყობად დაზღვევაზე შეიძლება მიჰმართონ ტფილისის კონტორაში უმთავრესს აგენტს ალექსანდრე გრიგოლის-ძეს სერგეევს, ერევნის მოედნის ყურში თავ. ციციშვილის სახლებში № 2. და აგრეთვე მოსკოვში საზოგადოების გამგეობაში.

Страховое общество „**ЯКОРЬ**“

**Высочайше** утвержденное въ 1872 г. въ Москвѣ

**Принимаетъ:** 1) Страхованіе отъ огня, 2) страхованіе жизни и капиталовъ, 3) страхованіе отъ несчастныхъ случаевъ и 4) страхованіе транспортовъ.

**Контора Тифлисскаго Главнаго Агента Александра Григорьевича Сергѣева**

на углу Эриванской пл. д. кн. Циціанова № 2. (50—31)

# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ тортовой промышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

преподаетъ **И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ общ. взаимн. сел.-хоз. кредита и препод. школы садоводства.**

## Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный,** при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій — 1-е число каждаго мѣсяца.

**Аттестаты за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и школы садоводства.**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ автора: Михайловская ул., № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**

(100—25)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Іюля 1898 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (გ. ქუთაისი), სას. ქ. სათ.-აზ. ქარვ. რედაქტორ-გამომცემელი ვ. [illegible]